



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL



ოქთი № 3

”22“ 03

2019 წ

დადგენილება № 10

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლაგიატის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესის“ მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლაგიატის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული კომისიის:

ა) შემადგენლობიდან ამოღებულ იქნენ:

მაკა ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
 თამარ ჟუჟუნაძე - იურისტი

ბ) კომისიის შემადგენლობას დაემატონ:

მერაბ ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

მაია ქუქჩიშვილი - უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

თამარ ხოსიტაშვილი - იურისტის მოვალეობის შემსრულებელი

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

J. 

მაკა ბერიძე